ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	061009

ქვეპროგრამის დასახელება:

დასაქმების ხელშეწყობა ციფრული უნარების განვითარების გზით

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2026 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	40,000
სულ ბიუჯეტი:	40,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ინფორმაციულ ტექნოლოგიურ სფეროში დასაქმება-თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ციფრული ინდუსტრიის განვითარება მნიშვნელოვნად ცვლის მსოფლიო შრომის ბაზარზე არსებულ წესებსა და მოთხოვნებს, რაც პირველ რიგში საინფორმაციო ტექნოლოგიების ინდუსტრიაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის ზრდით გამოიხატება. ამ კუთხით დასაქმების უპირატესობას, სტაბილურად მზარდი დასაქმების მაჩვენებლის პარალელურად, მუდმივად მზარდი ანაზღაურება წარმოადგენს. საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში საქმიანობას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ის რომ IT სპეციალისტს დისტანციურად შეუძლია მუშაობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს საოპერაციო ხარჯებს.

ციფრული ინდუსტრიის განვითარება, ბაზარზე ზრდის, ციფრული სპეციალისტების (მაგალითად, ფრონტ-ენდ, ბექ-ენდ, ფულ-სტაკ დეველოპერები) მოთხოვნას. იმ ფონზე, როცა რეგიონში გაზრდილია ინტერესი ციფრული ინდუსტრიის მიმართ და განსაკუთრებით ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი კვლავ გამოწვევად რჩება, მნიშვნელოვანია რესურსის გამოყენება და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა. ახალგაზრდებში დარგობრივი ინგლისურის, კომპიუტერული და თვითდასაქმებაზე ორიენტირებული უნარების შეძენა/განვითარება მაღალ ანაზღაურებადი დასაქმებისა და თვითდასაქმების მდგრად საფუძველს იძლევა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საბაზო ციფრული ტექნოლოგიების შესწავლა	20	2000	40,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			40,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომწოდებლის გამოვლენა და ხელშეკრულების გაფორმება		X		

განათლების მოდულების შემუშავება		X		
ქვეპროგრამის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა, ბენეფიციართა შერჩევა და ჯგუფების დაკომპლექტება		X	X	
სასწავლო პროცესის ორგანიზება		X	X	
ქვეპროგრამის მონიტორინგის განხორციელება		X	X	
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება და შეფასება		X	X	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს ამაღლებული პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს ამაღლებული პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის;	ქვეპროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	20	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	მომზადებულ მონაწილეთა რაოდენობა;	არაუმეტეს 20	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	მომზადების შედეგად დასაქმებული მოქალაქეები	30%	დასაქმებულთა სტატისტიკა	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი